



ამონაწერი საჯარო რეესტრიდან

განცხადების რეგისტრაცია
N 882014453645 - 26/08/2014 14:33:37

მომზადების თარიღი
26/08/2014 15:45:52

საკუთრების განყოფილება

ზონა თბილისი	სექტორი საბურთალო	კვარტალი	ნაკვეთი	ნაკვეთის საკუთრების ტიპი: საკუთრება
01	10	13	033/100	ნაკვეთის დანიშნულება: არასასოფლო სამეურნეო დაზუსტებული ფართობი: 7604.00 კვ.მ. ნაკვეთის წინა ნომერი: 33; შენობა-ნაგებობის ჩამონათვალი: N1 საერთო ფართობით 6790.2 კვ.მ. (მ.შ. სარდაფი - 178.47 კვ.მ., I სართული - 1844.78 კვ.მ., II სართული - 1700.92 კვ.მ., III სართული - 1220.9 კვ.მ., IV სართული - 1845.13 კვ.მ.), N2 საერთო ფართობით - 10.37 კვ.მ., N3 - ფართობით 7.26 კვ.მ., N4 ფართობით - -9.87 კვ.მ., N6 საერთო ფართობით - 37.07 კვ.მ., N8 საერთო ფართობით - 66.06 კვ.მ. და ნაგებობა N5

მესაკუთრის განყოფილება

განცხადების რეგისტრაცია : ნომერი 882013426436 , თარიღი 04/09/2013 15:55:23
უფლების რეგისტრაცია: თარიღი 04/09/2013

უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი:

- ხელშეკრულება უძრავი ქონების ნასყიდობის შესახებ , დამოწმების თარიღი: 04/09/2013 , საქართველოს იუსტიციის
სამინისტრო საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

მესაკუთრეები:

შპს "გიფლის ბიზნეს ცენტრი" , ID ნომერი: 405004917

მესაკუთრე:

შპს "გიფლის ბიზნეს ცენტრი"

აღწერა:

იპოთეკა

საგადასახადო გირავნობა:

რეგისტრირებული არ არის

ვალდებულება

განცხადების
რეგისტრაცია
ნომერი
882014310554
თარიღი 16/06/2014
11:21:42

გამყიდველი: შპს „სახელმწიფო მომსახურების ბიურო“ 404389372;
მყიდველი: შპს "გიფლის ბიზნეს ცენტრი" 405004917;
საგანი: მიწის ნაკვეთი ფართობი 7604.00 კვ.მ. და მასზე მდგომი შენობა-ნაგებობანი;
ხელშეკრულებით გათვალისწინებული ნაკისრი ვალდებულების შესრულების პირობით და
ასევე საინვესტიციო ვალდებულების შესრულება;

უფლების
რეგისტრაცია: თარიღი
20/06/2014

უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულება , დამოწმების თარიღი: 05/09/2012 ,
საქართველოს იუსტიციის სამინისტრო საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო (რეგ.ნომერი
882012688378; თარიღი 05/09/2012) ,

ხელშეკრულება ნასყიდობის ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატების შეტანის
თაობაზე, დამოწმების თარიღი 16/06/2014, სსიპ საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

ყაღაღა/აკრძალვა:

რეგისტრირებული არ არის

მოვალეთა რეესტრი:

რეგისტრირებული არ არის

"ფიზიკური პირის მიერ 2 წლამდე ვადით საკუთრებაში არსებული მატერიალური აქტივის რეალიზაციისას, აგრეთვე საგადასახადო წლის განმავლობაში 1000 ლარის ან მეტი ღირებულების ქონების საჩუქრად მიღებისას საშემოსავლო გადასახადი გადახდას ექვემდებარება საანგარიშო წლის მომდევნო წლის 1 აპრილამდე, რის შესახებაც აღნიშნული ფიზიკური პირი იმავე ვადაში წარუდგენს დეკლარაციას საგადასახადო ორგანოს. აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობა წარმოადგენს საგადასახადო სამართალდარღვევას, რაც იწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს საგადასახადო კოდექსის XVIII თავის მიხედვით."

- დოკუმენტის ნამდვილობის გადამოწმება შესაძლებელია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე www.napr.gov.ge;
- ამონაწერის მიღება შესაძლებელია ვებ-გვერდზე www.napr.gov.ge, ნებისმიერ გერიგორიულ სარეგისტრაციო სამსახურში, იუსტიციის სახლებსა და სააგენტოს ავტორიზებულ პირებთან;
- ამონაწერში გექნიკური ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში დაგვიკავშირდით: 2 405405 ან პირადად შეავესეთ განაცხადი ვებ-გვერდზე;
- კონსულტაციის მიღება შესაძლებელია იუსტიციის სახლის ცხელ ხაზზე 2 405405;
- საჯარო რეესტრის თანამშრომელთა მხრიდან უკანონო ქმედების შემთხვევაში დაგვიკავშირდით ცხელ ხაზზე: 08 009 009 09
- თქვენთვის საინტერესო ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით მოგეწერეთ ელ-ფოსტით: info@napr.gov.ge

ხელშეკრულება

შპს „სახელმწიფო მომსახურების ბიუროსა“ (უფლებამონაცვლე - სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო“) და შპს „ახალ თბილისს“ (უფლებამონაცვლე - შპს „ტიფლის ბიზნეს ცენტრი“) შორის
2012 წლის 5 სექტემბერს გაფორმებულ
უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატების
შეტანის თაობაზე

საქართველო, ქ. თბილისი

16 ივნისი, 2014 წელი

ერთი მხრივ, სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო“ (შემდგომში - სააგენტო), წარმოდგენილი წარმოდგენილი სააგენტოს იურიდიული დეპარტამენტის სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის შტატგარეშე მომუშავეს სალომე მესხიას (პირადი №01005030011) სახით, მოქმედი სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის მიერ, 2014 წლის 7 აპრილს გაცემული №4/12519 მინდობილობით მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე და ფარგლებში,

შპს „სახელმწიფო მომსახურების ბიურო“ (ს.კ 404389372) წარმოდგენილი ირაკლი შენგელიას (პირადი № 01006006560) სახით, მოქმედი შპს „სახელმწიფო მომსახურების ბიუროს“ დირექტორის მიერ, 2014 წლის 13 ივნისს გაცემული N184 მინდობილობით მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე და ფარგლებში, (შემდგომში „გამყიდველები“)

და მეორე მხრივ, შპს „ტიფლის ბიზნეს ცენტრი“ (ამჟამად შპს „ახალი თბილისის“ უფლებამონაცვლე) (ს.კ.405004917) (შემდგომში - „მყიდველი“) წარმოდგენილი გიორგი ზაქაიძის (პირადი N01026002657) სახით,

ერთობლივად წოდებულნი როგორც „მხარეები“, ხოლო ცალ-ცალკე როგორც „მხარე“

ვხელმძღვანელობთ რა,

„შპს „ტიფლის ბიზნეს ცენტრის“ საქმიანობის ხელშესაწყობად რიგ ღონისძიებათა განხორციელების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 6 ივნისის N989 განკარგულებით, შპს „სახელმწიფო მომსახურების ბიუროსა“ (უფლებამონაცვლე - სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო“) და შპს „ახალ თბილისს“ (უფლებამონაცვლე - შპს „ტიფლის ბიზნეს ცენტრი“) შორის 2012 წლის 5 სექტემბერს გაფორმებული უძრავი ქონების (ს/კ N01.10.13.033.100) ნასყიდობის ხელშეკრულებითა (შემდეგში - „ხელშეკრულება“) და შპს „სახელმწიფო

მომსახურების ბიუროსა“ და სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს“ შორის 2012 წლის 25 ოქტომბერს გაფორმებული მოთხოვნის დათმობის შესახებ ხელშეკრულების პირველი მუხლით,

ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი 1.

1.1. მხარეები თანხმდებიან, რომ „მყიდველი“ თავისუფლდება წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმებამდე მოქმედი „ხელშეკრულების“ 5.1.2 პუნქტით გათვალისწინებული საინვესტიციო ვალდებულების გადაგადაცილებით შესრულებისთვის წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმებამდე დაკისრებული/დასაკისრებელი პირგასამტეხლოსაგან იმ პირობით, რომ „მყიდველი“ ჯეროვნად შეასრულებს წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმებიდან „ხელშეკრულების“ მე-5 მუხლით გათვალისწინებულ თითოეულ ვალდებულებას;

მუხლი 2.

2.1. „ხელშეკრულების“ მე-5 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5.1. „მყიდველი“ ვალდებულია „ხელშეკრულებით“ განსაზღვრული ქონების დარჩენილი საფასურის, კერძოდ, 1 180 000 (ერთი მილიონ ას ოთხმოცი ათასი) აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის დაფარვის ვალდებულება შეასრულოს არა უგვიანეს 2014 წლის 17 სექტემბრისა. თანხის გადახდა განხორციელდეს შპს „სახელმწიფო მომსახურების ბიუროს“ შემდეგ საბანკო ანგარიშზე: სს „თიბისი ბანკი“ TBCBGE22; ა/ა GE34TB7119636080100001.

5.2. „მყიდველი“ ვალდებულია შეძენილ მიწის ნაკვეთზე ბიზნეს ცენტრისა და სასტუმროს მშენებლობა-დასრულება და ამ მიზნით 2 000 000 (ორი მილიონი) აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარებში ინვესტიცია განახორციელოს გადაცემული ქონების მესამე პირთა მიერ ფაქტობრივად გამოთავისუფლებიდან არა უმეტეს 3 (სამი) წლის ვადაში. ამასთან ინვესტიციის განხორციელება დადასტურებულ უნდა იქნეს სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ.

5.3. „მყიდველი“ ვალდებულია უზრუნველყოს შესაბამისი ქმედებების განხორციელება გადაცემული ქონების მესამე პირთა მიერ ფაქტობრივად გამოთავისუფლების მიზნით და ყოველ 3 (სამი) თვეში ერთხელ ინფორმაციის/დოკუმენტაციის წარდგენა განხორციელებული ქმედებების თაობაზე“.

მუხლი 3.

წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმებიდან „ხელშეკრულების“ 5.1, 5.2 და 5.3 პუნქტებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის

შემთხვევაში, ქარწყლდება წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმებამდე შპს „ტიფლის ბიზნეს ცენტრისათვის“ (ამჟამად, შპს „ახალი თბილისის“ უფლებამონაცვლე) დაკისრებული/დასაკირებელი პირგასამტეხლოების პატიება.

მუხლი 4.

- 4.1. „ნასყიდობის ხელშეკრულებაში“ ამ ხელშეკრულებით შესული ცვლილებები არ ცვლის „ნასყიდობის ხელშეკრულების“ სხვა მუხლების შინაარსს. ყველა სხვა მუხლებით დადგენილი მხარეთა უფლებები და მოვალეობები რჩება უცვლელი.
- 4.2. „ნასყიდობის ხელშეკრულებაში“ განხორციელებული ცვლილებები მიიჩნევა „ნასყიდობის ხელშეკრულების“ შინაარსის ნაწილად და მხედველობაში მიიღება მისი განმარტების დროს.
- 4.3. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა მიერ ხელმოწერისა და სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში“ (შემდგომში „საჯარო რეესტრი“) რეგისტრაციის მომენტიდან.
- 4.4. მყიდველი ვალდებულია დაფაროს წინამდებარე ხელშეკრულების „საჯარო რეესტრში“ რეგისტრაციის ხარჯი.
- 4.5. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე 4 (ოთხი) ეგზემპლარად, რომლებიც გადაეცემა მხარეებს და საჯარო რეესტრს.

გამყიდველები:

შპს „სახელმწიფო მომსახურების ბიურო“

წარმომადგენელი:

ირაკლი შენგელია

მყიდველი:

შპს „ტიფლის ბიზნეს ცენტრი“

წარმომადგენელი:

გიორგი ზაქაძე

ირაკლი შენგელია

გიორგი ზაქაძე

„სააგენტო“

წარმომადგენელი:

სალომე მესხია

სალომე მესხია

ხელშეკრულება

უძრავი ქონების ნასყიდობის შესახებ

ქ. თბილისი

04 სექტემბერი 2013წ.

მუხლი 1. ხელშეკრულების გაფორმების დრო და ადგილი

წინამდებარე ხელშეკრულება (შემდგომში „ხელშეკრულება“ იდება ქ. თბილისში, 2013 წლის 04 სექტემბერი

მუხლის 2. ხელშეკრულების მხარეები

ერთის მხრივ, შპს „New Tbilisi“ (ს/კ 205215131), წარმოდგენილი დირექტორის გოჩა ჯაიანის სახით (შემდგომში „გამყიდველი“), და

მეორეს მხრივ, შპს შპს „ტიფლის ბიზნეს ცენტრი“ (ს/კ 405004917), წარმოდგენილი დირექტორის გიორგი ზაქაძის სახით (შემდგომში „მყიდველი“)

შემდგომში ერთობლივად წოდებულნი „მხარეებად“, ხოლო ცალ-ცალკე „მხარედ“.

მუხლი 3. პრეამბულა

ვინაიდან შპს „New Tbilisi“ წარმოადგენს ქ. თბილისში, აკურის ქ. №8-ში მდებარე 7604კვ.მ. ფართის არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთისა და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობების (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №01.10.13.033.100) მესაკუთრეს, რაც დადასტურებულია საჯარო რეესტრში არსებული სათანადო ჩანაწერით (განცხადების რეგისტრაცია № 882013177197 – 22/04/2013);

ვინაიდან შპს „New Tbilisi“-ის მიერ ზემოხსენებული უძრავი ქონება შეძენილია შპს „სახელმწიფო მომსახურების ბიუროსთან“ 05.09.2012 წელს გაფორმებული პირობადებული ხელშეკრულებით, რომლის თანახმად „მყიდველის“ ვალდებულებად განისაზღვრა ქონების საფასურის განვადებით დაფარვა და შეძენილ მიწის ნაკვეთზე 2 000 000 (ორი მილიონი) აშშ დოლარის ოდენობის ინვესტიციის განხორციელება ბიზნეს-ცენტრისა და სასტუმროს მშენებლობის მიზნით;

ვინაიდან შპს „New Tbilisi“-სა და შპს „სახელმწიფო მომსახურების ბიუროს“ შორის უძრავი ქონების ნასყიდობის თაობაზე 05.09.2012 წელს გაფორმებული ხელშეკრულების 9.11 მუხლის თანახმად, შეძენილი ობიექტის გასხვისების შემთხვევაში აღნიშნული ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები გადადის ობიექტის ახალ მესაკუთრეზე; და

ვინაიდან შპს „New Tbilisi“-ის პარტნიორის 2013 წლის 16 აგვისტოს გადაწყვეტილებით უძრავი ქონების მესაკუთრეს „New Tbilisi“-ს მიენიჭა ზემოხსენებული ქონების წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობებით გასხვისების უფლებამოსილება,

აღნიშნულის გათვალისწინებით, მხარეები თანხმდებიან შემდეგზე:

მუხლი 4. ხელშეკრულების საგანი

4.1. წინამდებარე ხელშეკრულების თანახმად, „გამყიდველი“ ყიდის, ხოლო „მყიდველი“ ყიდულობს ქ. თბილისში, აკურის ქ. №8-ში მდებარე 7604კვ.მ. ფართის არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთს, მასზე განთავსებულ შენობა-ნაგებობებს (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №01.10.13.033.100) და №7 და №9 ლითონის კონსტრუქციას (შემდგომში „ქონება“).

ქონების რეკვიზიტები:

სარეგისტრაციო ზონა – თბილისი, კოდი 01

სექტორი – საბურთალო 10, კვარტალი – 13, ნაკვეთი 033/100

ნაკვეთის საკუთრების ტიპი: საკუთრება

ნაკვეთის ფუნქცია: არასასოფლო სამეურნეო

დაზუსტებული ფართობი 7604.00კვ.მ.

ნაკვეთის წინა ნომერი – 33

შენობა-ნაგებობების ჩამონათვალი: №1 საერთო ფართობით 6790.2კვ.მ. (მ.შ. სარდაფი -178.47 კვ.მ., I სართული - 1844.78 კვ.მ., II სართული - 1700.92 კვ.მ., III სართული - 1220.9 კვ.მ., IV სართული 1845.13 კვ.მ.), №2 საერთო ფართობით 10.37 კვ.მ., №3 - ფართობით 7.26 კვ.მ., №4 ფართობით 9.87 კვ.მ., №6 საერთო ფართობით - 37.07 კვ.მ., №8 საერთო ფართობით - 66.06 კვ.მ. და ნაგებობა №5

მისამართი: ქალაქი თბილისი, ქუჩა ბიძინა კვერნაძე, №10

მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №01.10.13.033.100

მესაკუთრე: შპს „New Tbilisi“ ID ნომერი 205215131

მუხლი 5. სახელშეკრულებო ღირებულება და ანგარიშსწორების წესი

5.1. მხარეთა შეთანხმებით, „ქონების“ ღირებულება შეადგენს 1'880'000 (ერთი მილიონ რვაას ოთხმოცი ათასი) აშშ დოლარის ექვივალენტურ თანხას ლარში (დღგ-ს ჩათვლით), გადახდის დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური კურსით.

5.2. „მყიდველი“ ვალდებულია „ქონების“ ღირებულება დაფაროს, შემდეგი წესით:

5.2.1. 700'000 (შვიდასი ათასი) აშშ დოლარის ექვივალენტურ თანხას ლარში „მყიდველი“ რიცხავს წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმების თარიღიდან არაუგვიანეს ექვსი თვის ვადაში შპს „New Tbilisi“-ის ანგარიშზე: სს“თი-ბი-სი“ ბანკი, ბანკის კოდი TBCBGE 22, ა/ა GE23TB7409436050100002. ანაზღაურება შესაძლებელია განხორციელდეს როგორც ერთიანი გადახდით, ასევე ეტაპობრივად.

5.2.2. „ქონების“ ღირებულების დარჩენილ გადასახდელ ნაწილის - 1 180 000 (ერთი მილიონ ასოთხმოცი ათასი) აშშ დოლარის ექვივალენტის ლარში გადახდას „მყიდველი“ განახორციელებს „გამყიდველის“ ვალდებულების გასტუმრებით, შპს „სახელმწიფო მომსახურების ბიუროს“ შემდეგ საბანკო ანგარიშზე გადარიცხვით:

სს „თი ბი სი ბანკი“, საბანკო კოდი - TBCBGE 22, ა/ა GE34 TB71 1963 6080 1000 01, შპს „New Tbilisi“-სა და შპს „სახელმწიფო მომსახურების ბიუროს“ შორის უძრავი ქონების ნასყიდობის თაობაზე 05.09.2012 წელს გაფორმებული ხელშეკრულებით დადგენილი წესით.

მუხლი 6. განსაკუთრებული პირობები

6.1. მყიდველი ვალდებულია შეასრულოს შპს „New Tbilisi“-სა და შპს „სახელმწიფო მომსახურების ბიუროს“ შორის უძრავი ქონების ნასყიდობის თაობაზე 05.09.2012 წელს გაფორმებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები „გამყიდველთან“ - შპს „სახელმწიფო მომსახურების ბიუროსთან“ შეთანხმებული პირობებით, კერძოდ:

6.1.1. დაფაროს აღნიშნული ხელშეკრულებით გათვალისწინებული „ქონების საფასურის“ დარჩენილი გადასახდელი თანხა წინამდებარე ხელშეკრულების 5.2.2 პუნქტით განსაზღვრული ოდენობით;

6.1.2. შეძენილ მიწის ნაკვეთზე განახორციელოს 2 000 000 (ორი მილიონი) აშშ დოლარის ინვესტირება ბიზნეს-ცენტრისა და სასტუმროს მშენებლობა-დასრულების მიზნით.

6.1.3. უზრუნველყოს შეძენილ მიწის ნაკვეთზე ამ ხელშეკრულების 6.2.2. ქვეპუნქტის შესაბამისად განხორციელებული ინვესტიციის დადასტურება სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ სათანადო დასკვნით და აღნიშნული დასკვნის წარდგენა შპს „სახელმწიფო მომსახურების ბიუროსთვის“.

6.2. წინამდებარე ხელშეკრულების საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მარეგისტრირებელ ორგანოში რეგისტრაციის თარიღიდან „მყიდველზე“ - შპს „ტიფლის ბიზნეს ცენტრზე“ გადადის შპს „New Tbilisi“-სა და შპს „სახელმწიფო მომსახურების ბიუროს“ შორის უძრავი ქონების ნასყიდობის თაობაზე 05.09.2012 წელს გაფორმებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული „მყიდველის“ ყველა უფლება-მოვალეობა, მათ შორის საკუთრების უფლება „ქონებაზე“ და ნებისმიერი სახის ხარჯი და/ან პასუხისმგებლობა, რასაც ითვალისწინებს აღნიშნული ხელშეკრულება, წარმოიშვა და/ან წარმოიშობა მომავალში და/ან შეიძლება გამომდინარეობდეს მისი შინაარსიდან.

მუხლი 7. საკუთრების უფლება

7.1. შეძენილ ქონებაზე საკუთრების უფლება „მყიდველზე“ გადადის წინამდებარე ხელშეკრულების საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს შესაბამის მარეგისტრირებელ ორგანოში რეგისტრაციის თარიღიდან. „მყიდველი“ ვალდებულია წინამდებარე გარიგებასთან ერთად დაარეგისტრიროს ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

7.2. „გამყიდველისთვის“ გადასახდელი „ქონების“ ღირებულების (პუნქტი 5.2.1) სრულად დაფარვამდე „მყიდველს“ არა აქვს უფლება განკარგოს ნასყიდობის საგანი, გაასხვისოს ან დატვირთოს ნებისმიერი ფორმით.

7.3. „მყიდველის“ მიერ წინამდებარე ხელშეკრულების 6.1 პუნქტით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებამდე „ქონების“ გასხვისება შესაძლებელია მხოლოდ აღნიშნული ვალდებულებების შესრულების პირობით.

მუხლი 8. მხარეთა პასუხისმგებლობა

8.1. წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში მხარეებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8.2. სახელშეკრულებო ღირებულების გადახდისთვის ამ ხელშეკრულების 5.2.1 ქვეპუნქტით დადგენილი ვადის დარღვევის შემთხვევაში, „გამყიდველი“ უფლებამოსილია „მყიდველს“ დააკისროს პირგასამტეხლო გადასახდელი თანხის 0,1%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

8.3. „მყიდველის“ მიერ „გამყიდველისთვის“ გადასახდელი ღირებულების დაფარვისთვის განსაზღვრული ვადის (პუნქტი 5.2.1) ოცდაათ (30) კალენდარულ დღეზე მეტით გადაცილების შემთხვევაში „მყიდველი“ უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება, დაიბრუნოს „ქონება“ და მოითხოვოს საჯარო რესტრში ამ ხელშეკრულების გაფორმებამდე არსებული ჩანაწერის აღდგენა. ამასთან, „მყიდველი“ არ თავისუფლდება ვადის გადაცილების გამო დარიცხული პირგასამტეხლოს გადახდის ვალდებულებისგან.

8.4. ხელშეკრულების 8.3 პუნქტით გათვალისწინებული საფუძვლით მოშლის შემთხვევაში „გამყიდველი“ ვალდებულია გონივრულ ვადაში დაუბრუნოს „მყიდველს“ შეწყვეტის თარიღამდე გადახდილი „ქონების“ ღირებულება (ასეთის არსებობის შემთხვევაში) დარიცხული პირგასამტეხლოს გამოკლებით; ხოლო „მყიდველი“, თავის მხრივ, ვალდებულია განახორციელოს ნებისმიერი ქმედება და ხელი მოაწეროს ნებისმიერ დოკუმენტს, რაც შეიძლება საჭირო გახდეს „ქონებაზე“ „გამყიდველის“ საკუთრების უფლების აღდგენისთვის, წინააღმდეგ შემთხვევაში მას დაეკისრება საკუთარი ქმედებით/უმოქმედობით „გამყიდველისთვის“ მიყენებული ზიანის ანაზღაურება მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8.5. ამ ხელშეკრულების 6.1 პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებაზე მყიდველი პასუხისმგებელია შპს „სახელმწიფო უზრუნველყოფის ბიუროს“ წინაშე იმ ფარგლებში და იმ წესით, რაც გათვალისწინებულია შპს „New Tbilisi“-სა და შპს „სახელმწიფო მომსახურების ბიუროს“ შორის უძრავი ქონების ნასყიდობის თაობაზე 05.09.2012 წელს გაფორმებული ხელშეკრულებით. ამასთან, „მყიდველი“ ადასტურებს, რომ გაეცნო აღნიშნულ ხელშეკრულებას და მასში მოცემულ დებულებებს.

8.6. იმ შემთხვევაში, თუ „გამყიდველს“ - შპს „New Tbilisi“-ს მოუწევს „მყიდველის“ - შპს „ტიფლის ბიზნეს ცენტრი“-ს მიერ წინამდებარე ხელშეკრულების, ასევე შპს „New Tbilisi“-სა და შპს „სახელმწიფო მომსახურების ბიუროს“ შორის უძრავი ქონების ნასყიდობის თაობაზე 05.09.2012 წელს გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში და/ან მისგან გამომდინარე ნაკისრი ვალდებულებ(ებ)ის შესრულება/ნებისმიერი ხარჯ(ებ)ის გაწევა, „მყიდველი“ ვალდებულია მოთხოვნიდან არაუგვიანეს 10 (ათი) საბანკო დღის ვადაში აუნაზღაუროს „გამყიდველს“ შესაბამის გაწეული მომსახურება შემდეგი ფორმულით: გაწეული მომსახურება + 10% + დღგ.

მუხლი 9. დასკვნითი დებულებები

9.1 წინამდებარე ხელშეკრულება რეგულირდება და განიმარტება საქართველოს კანონმდებლობის თანახმად. ხელშეკრულების საფუძველზე წარმოშობილი დავები გადაეცემა და განიხილება საქართველოს სასამართლოს მიერ.


9.2. ამ ხელშეკრულების რეგისტრაციასთან დაკავშირებული ხარჯები დაიფარება „მყიდველის“ მიერ.

9.3. ხელშეკრულება ძალაში შედის „მხარეთა“ მიერ მისი ხელმოწერის მომენტიდან და, იმ ფარგლებში რაც მოცემულია ხელშეკრულების დებულებებში, მოქმედებს მასში მოცემული პირობების სრულად შესრულებამდე.

ადასტურებენ რა ზემოაღნიშნულს, „მხარეები“ ხელს აწერენ წინამდებარე ხელშეკრულებას იმ დღესა და იმ წელს, რომელიც მითითებულია ხელშეკრულების დასაწყისში.

„გამყიდველი“


შპს „New Tbilisi“



გოჩა ჯაიანი
დირექტორი

„მყიდველი“

შპს „ტიფლის ბიზნეს ცენტრი“



გიორგი ზაქაიძე
დირექტორი

უძრავი ქონების ნასყიდობის
ხელშეკრულება

ქ. თბილისი
5 სექტემბერი
2012 წელი

მუხლი 1. ხელშეკრულების გაფორმების დრო და ადგილი

წინამდებარე ხელშეკრულება (შემდგომში „ხელშეკრულება“) იდება ქ. თბილისში, 2012 წლის 5 სექტემბერი

ხელშეკრულების მხარეები:

ერთის მხრივ, შპს „სახელმწიფო მომსახურების ბიურო“ ს/კ 404389372 (შემდგომში „გამყიდველი“), წარმოდგენილი მისი დირექტორის დავით კაკაურიძის (პირადი № 01009004035) სახით

და

მეორეს მხრივ, („მყიდველი“) შპს ``ახალი თბილისი `` (ს/ნ 205215131) წარმოდგენილი მისი დირექტორის გოჩა ჯაიანი (პ/ნ 01008006027) სახით

მუხლი 2. ფაქტების კონსტატაცია

ვინაიდან გამყიდველი არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რეგისტრირებული საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, დაფუძნებული საქართველოს სახელმწიფოს მიერ, რომელიც წარმოდგენილია საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სახით და რეგისტრირებულია საჯარო რეესტრის მიერ 2010 წლის 26 ოქტომბერს (სარეგისტრაციო №B10135557);

ვინაიდან საქართველოს სახელმწიფო, წარმოდგენილი საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ, წარმოადგენს საზოგადოების ერთადერთ პარტნიორს, რომლის საკუთრებაშიც არის საზოგადოების წილის 100%; და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, სსიპ „საწარმოთა მართვის სააგენტო“ ახორციელებს საზოგადოების პარტნიორის უფლება-მოვალეობებს;

ვინაიდან შპს „სახელმწიფო მომსახურების ბიურო“ წარმოადგენს ქ. თბილისში:

- აკურის ქუჩა №8 მდებარე 7604 კვ.მ არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთისა და მასზე მდებარე 7 ერთეული შენობა ნაგებობების და №7 და №9 ლითონის კონსტრუქციის, საკადასტრო კოდი №01.10.13.033.100 შესაკუთრეს

ვინაიდან საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს 2012 წლის № 06/18527 და სსიპ „საწარმოთა მართვის სააგენტოს“ 2012 წლის №33/2542 წერილების და საქართველოს პრემიერ მინისტრის 2012 წლის 29 აგვისტოს №1769 რეზოლუციის საფუძველზე გამყიდველს მიენიჭა ზემოხსენებული ქონების საჯარო და ელექტრონული აუქციონის მოწყობის გარეშე მისი გაყიდვის უფლებამოსილება;

აღნიშნულიდან გამომდინარე, მხარეები თანხმდებიან შემდეგზე:

მუხლი 3. ხელშეკრულების საგანი

წინამდებარე ხელშეკრულების პირობების თანახმად (და მისგან გამომდინარე), „გამყიდველი“ ყიდის, ხოლო „მყიდველი“ ყიდულობს აკურის ქუჩა №8 მდებარე 7604 კვ.მ არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთსა და მასზე მდებარე 7 ერთეული შენობა ნაგებობებსა და №7 და №9 ლითონის კონსტრუქციას, საკადასტრო კოდი №01.10.13.033.100

(შემდგომში წოდებული, როგორც „ქონება“)

მუხლი 4. „ქონების“ საფასური

4.1. „მხარეები“ ადასტურებენ, რომ „ქონების“ მთლიანი საფასური შეადგენს 177 0000 დღგ-ს ჩათვლით. (ერთი მილიონ შვიდას სამოცდაათი ათასი) აშშ დოლარის ექვივალენტი ლარად.

მუხლი 5. მხარეთა ვალდებულებები

5.1. მყიდველი ვალდებულია საფასური დაფაროს შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებიდან 3 თვის ვადაში:

5.1.1.

- 1 შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 დღის ვადაში 590 000 აშშ დოლარის ექვივალენტის გადახდა .

- 2 2012 წლის 30 ოქტომბრამდე 590 000 აშშ დოლარის ექვივალენტის გადახდა .
- 3 2012 წლის 30 ნოემბრამდე 590 000 აშშ დოლარის ექვივალენტის გადახდა .

- შპს „სახელმწიფო მომსახურების ბიურო“-ს შემდეგ საბანკო ანგარიშზე:
სს „თიბისი ბანკი“, საბანკო კოდი - TBCBGE 22,

მიმღების დასახელება - შპს სახელმწიფო მომსახურების ბიურო,

ანგარიშსწორების ანგარიში GE34 TB71 1963 6080 1000 01

5.1.2 შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებიდან 2 წლის განმავლობაში შეძენილ მიწის ნაკვეთზე ბიზნეს ცენტრისა და სასტუმროს მშენებლობა- დასრულება და ამ მიზნით 2 000 000 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარებში ინვესტიციის განხორციელება. ამასთან ინვესტიციის განხორციელება დადასტურებულ უნდა იქნას სსიპ 'ლევან სამხარაულის' სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ.

6. საკუთრების უფლება

6.1 ქონებაზე საკუთრების უფლება მყიდველზე გადადის წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამის მარეგისტრირებელ ორგანოში წარდგენის

მომენტიდან, რომელთან ერთადად მყიდველი ვალდებულია დაარეგისტრიროს წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

7. ხელშეკრულების შესრულება

თითოეული „მხარე“ ადასტურებს, რომ მიიღებს ყველა შესაძლო ზომას, რამდენადაც ეს მოეთხოვება შესაბამის „მხარეს“, რათა სრულად, ჯეროვნად, კეთილსინდისიერად და დათქმულ ვადებში შეასრულოს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

მუხლი 8. მხარეთა განცხადებები, გარანტიები და დაპირებები

8.1 „გამყიდველი“ აცხადებს და გარანტიას იძლევა, რომ:

8.1.1 „გამყიდველს“ აქვს სათანადო უფლებამოსილება ხელი მოაწეროს წინამდებარე ხელშეკრულებას; განხორციელებულია ყველა სათანადო ქმედება და მიღებულია ყველა აუცილებელი გადაწყვეტილება, რაც აუცილებელია წინამდებარე ხელშეკრულების ხელმოსაწერად და მასში გათვალისწინებული პირობების შესასრულებლად.

წინამდებარე ხელშეკრულება წარმოადგენს „გამყიდველის“ ვალდებულებას, რომელიც აღსრულებადია ამ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად; ამასთან, ამ ხელშეკრულების შესრულება არ გამოიწვევს მარეგულირებელი კანონმდებლობის ან რაიმე ხელშეკრულების დარღვევას, რომლის მხარესაც წარმოადგენს „გამყიდველი“.

„გამყიდველს“ არ გაუფორმებია რაიმე ხელშეკრულება ან შეთანხმება და არ აუღია რაიმე ზეპირი თუ წერილობითი ვალდებულება, რომელიც შეუძლებელს გახდიდა „მხარეთა“ მიერ წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შესრულებას.

„მყიდველის“ განცხადებები და გარანტიები:

„მყიდველს“ აქვს სათანადო უფლებამოსილება ხელი მოაწეროს წინამდებარე ხელშეკრულებას; განხორციელებულია ყველა სათანადო ქმედება და მიღებულია ყველა აუცილებელი გადაწყვეტილება, რაც აუცილებელია წინამდებარე ხელშეკრულების ხელმოსაწერად და მასში გათვალისწინებული პირობების შესასრულებლად.

წინამდებარე ხელშეკრულება წარმოადგენს იურიდიული ძალის მქონე და „მყიდველისათვის“ შესასრულებლად სავალდებულო დოკუმენტს.

მუხლი 9. მხარეთა პასუხისმგებლობა

9.1. წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში მხარეთა პასუხისმგებლობა განისაზღვრება მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9.2. თუ მყიდველი დადგენილ ვადებში არ გადაიხდის ნასყიდობის თანხას, ნასყიდობის საფასურის გადახდისათვის მიცემული დამატებითი ვადის უშედეგოდ გასვლის შემთხვევაში გამყიდველის წერილობითი მიმართვის საფუძველზე საჯარო რეესტრში უქმდება საკუთრების უფლება და ქონება რეგისტრირდება შპს 'სახელმწიფო მომსახურების ბიუროს' საკუთრებად.

9.3 ნასყიდობის საგნის საფასურის წინამდებარე ხელშეკრულებით დადგენილ ვადებში გადაუხდელობის შემთხვევაში მყიდველს ეგზავნება წერილობითი შეტყობინება რომელშიც მიეთითება დარღვევის ხასიათი და გამოსწორების ვადა და იმავდროულად ეკისრება პირგასამტეხლო 0.1 % ოდენობით დარღვევის დღიდან ყოველ ვადაგაცილებულ დღეზე.

9.4 წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული საინვესტიციო ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში მყიდველს ეგზავნება წერილობითი შეტყობინება დარღვევის ხასიათის აღწერით და გამოსწორების ვადით და ამასთან ეკისრება პირგასამტეხლო განსახორციელებელი ინვესტიციის 0.1 % ოდენობით დარღვევის დღიდან ყოველ ვადაგაცილებულ დღეზე.

9.5 წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში მყიდველს ეგზავნება წერილობითი შეტყობინება დარღვევის ხასიათის აღწერით და გამოსწორების ვადით და იმავდროულად

ეკისრება პირგასამტეხლო 200 ლარით დარღვევის დღიდან ყოველ ვადაგაცილებულ დღეზე.

9.7 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მყიდველს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9.8 წინამდებარე ნასყიდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების განმეორებით შეუსრულებლობის შემთხვევა და ან/და დაწესებულ ვადაში პირგასამტეხლოს გადაუხდელობა განიხილება ხელშეკრულების ცალმხრივად მოშლის საფუძველად, ასეთ შემთხვევაში ქონება უბრუნდება გამყიდველის საკუთრებაში და შემძენს არ უნაზღაურდება გაწეული ხარჯები და გადახდილი თანხები.

9.9 ხელშეკრულების მოშლის შემთხვევაში უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია ირიცხება შპს 'სახელმწიფო მომსახურების ბიუროს' ანგარიშზე.

9.10 ინვესტიციების განხორციელება დადასტურებულ უნდა იქნას საქართველოს მტავრობის 2009 წლის 30 დეკემბრის №1064 განკარგულებით განსაზღვრული საექსპერტო/ აუდიტორული კომპანიის მიერ.

9.11 შეძენილი ობიექტის გასხვისების შემთხვევაში წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების გადადის ობიექტის ახალ მესაკუთრეზე.

მუხლი 10. სხვადასხვა

10.1 განმარტების წესები

ამ ხელშეკრულების მიზნებისთვის:

10.1.1 მუხლების სათაურებს არ ენიჭება მნიშვნელობა მთლიანობაში ხელშეკრულების განმარტების დროს.

10.1.2 ნებისმიერი მითითება დღეზე ნიშნავს კალენდარულ დღეს.

10.1.3 მითითება ნებისმიერ ფიზიკურ თუ იურიდიულ პირზე მოიცავს აგრეთვე ამ პირის სამართალმემკვიდრეებს და დაშვებულ უფლებამონაცვლებს.

10.1.4 მითითება ნებისმიერ ხელშეკრულებაზე ან დოკუმენტზე ამავედროულად გულისხმობს ამ ხელშეკრულებისა თუ დოკუმენტის ნებისმიერ ცვლილებას.

10.1.5 მითითება ნებისმიერ კანონზე ამავედროულად გულისხმობს ამ კანონის ცვლილებებს.

10.2. ცვლილებები, დამატებები და შესწორებები

ხელშეკრულებაში შეტანილი ნებისმიერი ცვლილება, შესწორება და დამატება იურიდულ ძალას იძენს მხოლოდ „მხარეთა“ მიერ მისი წერილობითი ფორმით შეთანხმების, ხელმოწერისა და საჯარო რეესტრში რეგისტრაციის შემთხვევაში.

10.3. ხელშეკრულების ერთიანობა

თუ წინამდებარე ხელშეკრულების რომელიმე დებულება ან დებულების ნაწილი, ან მისი გამოყენება რომელიმე „მხარის“ მიმართ არის იურიდიული ძალის არმქონე ან შეუძლებელია მისი აღსრულება, მაშინ – რამდენადაც ეს შესაძლებელი იქნება – ხელშეკრულების დანარჩენი დებულებები განიმარტება ისე, როგორც იურიდიული ძალის მქონე და აღსრულებადი, რაც შესაძლებელს ხდის მათ შემდგომ გამოყენებას; ხოლო იურიდიული ძალის არმქონე ან არა-აღსრულებადი დებულება გამოცალკევდება ამ ხელშეკრულებიდან, რამდენადაც შესაძლებელია, ხელშეკრულების დანარჩენი დებულებების იურიდიული ძალისა და აღსრულებადობის შენარჩუნების მიზნით.

10.4. შეტყობინებები

10.4.1 ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ან მასთან დაკავშირებული ნებისმიერი შეტყობინება შეიძლება მიეწოდოს მხოლოდ პირადად (გადაეცეს უშუალოდ), კურიერული გზავნილით ან დაზღვეული წერილით. მხარეებისათვის შეტყობინება მიწოდებულად ითვლება ქვემოთ მოცემულ რეკვიზიტებზე გაგზავნის შემთხვევაში:

„„მყიდველის““ შემთხვევაში ვაჟა ფშაველა გამზ №70 ბ

„„გამყიდველის““ შემთხვევაში შემდეგ მისამართზე:
საქართველო, ქ. თბილისი, ჭანტურიას ქ. №12

10.4.2. შეტყობინება, რომელიც არ აკმაყოფილებს ზემოთ მოცემულ პირობებს არის არასათანადო შეტყობინება და მას არ მოჰყვება არანაირი იურიდიული შედეგი.

10.5. ურთიერთგაგება

წინამდებარე ხელშეკრულება წარმოადგენს „მხარეთა“ შორის არსებულ სრულ შეთანხმებას ხელშეკრულების საგანთან მიმართებაში და იგი აუქმებს ყველა წინარე

თუ ადრე არსებულ შეთანხმებასა თუ ურთიერთგაგებას „მხარეთა“ შორის ამ ხელშეკრულებასთან თუ მის ნებისმიერ დებულებასთან მიმართებაში.

10.6. მარეგულირებელი სამართალი, დავათა გადაჭრა

წინამდებარე ხელშეკრულება რეგულირდება და განიმარტება საქართველოს კანონმდებლობის თანახმად,

10.7. ხარჯები

ამ ხელშეკრულების რეგისტრაციასთან დაკავშირებული ხარჯები დაიფარება „მყიდველის“ მიერ.

10.8. შემდგომი ქმედებები

„მხარეები“ დროულად მიიღებენ ყველა ზომას და ხელს მოაწერენ ყველა დოკუმენტს რაც შესაძლოა აუცილებელი იყოს წინამდებარე ხელშეკრულების მიზნების განხორციელებისათვის.

10.9. სამართალმემკვიდრეები და უფლებამონაცვლები

წინამდებარე ხელშეკრულებას აქვს სავალდებულო იურიდიული ძალა „მხარეთათვის“ და მათი შესაბამისი სამართალმემკვიდრეებისა და უფლებამონაცვლებებისათვის. ეს ხელშეკრულება არ ანიჭებს არანაირ უფლებებს არცერთ მესამე მხარეს, გარდა „მხარეებისა“ და მათი შესაბამისი სამართალმემკვიდრეებისა და უფლებამონაცვლებებისა.

მუხლი 11. დასკვნითი დებულებები

11.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის „მხარეთა“ მიერ მისი ხელმოწერის მომენტიდან და, იმ ფარგლებში რაც მოცემულია ხელშეკრულების დებულებებში, მოქმედებს მასში მოცემული პირობების „მხარეთა“ მიერ სრულად შესრულებამდე.

11.2. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე.

11.3. ამ ხელშეკრულების ერთი დამოწმებული ასლი გადაეცემა „გამყიდველს“, ერთი „მყიდველს“, ხოლო ერთი წარედგინება საჯარო რეესტრს რეგისტრაციისათვის ადასტურებენ რა ზემოაღნიშნულს, „მხარეები“ ხელს აწერენ წინამდებარე


ხელშეკრულებას იმ დღესა და იმ წელს, რომელიც მითითებულია ხელშეკრულების
დასაწყისში.

„გამყიდველი“

შპს „სახელმწიფო მომსახურების ბიურო“

დირექტორი


დავით კაკაურიძე

ფაქსი 

„მყიდველი“

შპს „ახალი თბილისი“

გოჩა ჯაიანი

 გოჩა ჯაიანი



განცხადების რეგისტრაციის ნომერი: **882012688378**

განცხადების რეგისტრაციის დრო: 05 სექ 2012 17:49

განცხადების ნომერი: 6931879

განცხადების მიღების დრო: 05 სექ 2012 17:49

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს
თბილისის სარეგისტრაციო სამსახური

განცხადების მიღების ბარათი

თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის მიერ მიღებულ იქნა განცხადება (დაინტერესებული პირი: შპს 'ახალი თბილისი' /205215131/), რომლითაც მოთხოვნილია საკუთრების უფლების რეგისტრაცია გარიგების საფუძველზე უძრავ ნივთზე. უძრავი ნივთის მისამართი: აკურის ქუჩა N8. [ზონა:თბილისი, სექტორი:საბურთალო]

განცხადებაში მოთხოვნილია საჯარო რეესტრში უფლების რეგისტრაციის დამადასტურებელი შემდეგი დოკუმენტები:

1. ამონაწერი საჯარო რეესტრიდან

განცხადებას თან ახლავს შემდეგი დოკუმენტები:

1. წარმომადგენლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი
2. მომსახურების საფასურის გადახდის დამადასტურებელი საბუთი
3. ნასყიდობის ხელშეკრულება

მომსახურების ვადა: განცხადების წარმოდგენის დღეს.

საფასური: 200 ლარი.

მომსახურების ვადის ათვლა იწყება განცხადების რეგისტრაციის მომდევნო დღეს და მთავრდება ვადის ბოლო დღის გასვლასთან ერთად. თუ სარეგისტრაციო წარმოების დასრულების დღე ემთხვევა უქმე ან დასვენების დღეს, მაშინ სარეგისტრაციო წარმოება სრულდება მომდევნო სამუშაო დღეს.

თუ განცხადების რეგისტრაციისას მითითებული გაქვთ თქვენი მობილური ტელეფონის ნომერი, სარეგისტრაციო წარმოების დასრულების შესახებ ინფორმაციას თქვენ მიიღებთ უფასო SMS-ის საშუალებით. სარეგისტრაციო სამსახურში მომზადებამდე თქვენ აგრეთვე შეგიძლიათ წინასწარ მიიღოთ ინფორმაცია, თუ რა ეტაპზეა თქვენი სარეგისტრაციო განცხადების განხილვა. ინფორმაციის მისაღებად დარეკეთ ტელეფონზე **2 405 405** ან საინფორმაციო ცენტრში **09**. ინფორმაციის მიღება შეიძლება აგრეთვე საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ვებ გვერდზე: **www.reestri.gov.ge**

ამონაწერში ტექნიკური ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში, შესაძლებელია სარეგისტრაციო სამსახურში მოსვლის გარეშე, ელექტრონულად წარმოადგინოთ განცხადება: <http://public.reestri.gov.ge> ან დაგვიკავშირდეთ: **2 405 405**;

შესწორებული ამონაწერის მიღება შეგიძლიათ ვებ გვერდზე, ელექტრონულად, ასევე სარეგისტრაციო სამსახურში "ლიბერთი ბანკის" ნებისმიერ ფილიალში, ან "პრივატბანკის" სწრაფი გადახდის აპარატიდან.

საჯარო რეესტრიდან ამონაწერის მიღება შეგიძლიათ "ლიბერთი ბანკის" ნებისმიერ ფილიალსა და სერვის-ცენტრში, ასევე "პრივატბანკის" სწრაფი გადახდის აპარატიდან.

სარეგისტრაციო სამსახურის თანამშრომელთა მხრიდან ნებისმიერი სახის უკანონო ქმედების ჩადენის შემთხვევაში დაუკავშირდით საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს შიდა კონტროლის სამსახურს ტელეფონის ნომერზე **0800282828**